ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01180711092**

თარიღი: **12.03.2018**

ადრესატი:
ირაკლი ჩხარტიშვილი
პირადი ნომერი: 61004007539
მისამართი: თბილისი ვაშლიჯვარი მ.მაჭავარიანის ქ. N 65 ბ. 17

ბატონო ირაკლი,

სამსახურში შემოსული თქვენი N19/0118005975-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, ბელიაშვილის ქუჩა N22 (საკ.კოდი #01.13.02.010.059) 2017 წლის 13 ოქტომბრის N3595069 (AR1542741) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლის მიზნით სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

„ა-ზ“ ფასადზე: „ვ-ვ“ ღერძთან აივნებზე შეცვლილია კედლის ფორმა. „ბ-გ“ მონაკვეთში შემცირებულია აივნების სიგრძე. +53,20 და +56,50 ნიშნულზე, „ბ-ბ“ ღერძთან შეცვლილია კედლების ფორმა. +56,50 ნიშნულზე, „ე-ე“ ღერძთან გაზრდილია საკომუნიკაციო შახტის გაბარიტები.

„ვ-ა“ ფასადზე: „დ-გ“ მონაკვეთში შეცვლილია სადარბაზოს ღიობების მოწყობა.

„6-1“ ფასადზე: +62,80 ნიშნულზე გაუქმებულია აივნის გადახურვა.

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების და ვიტრაჟების მდებარეობა. ასევე შეცვლილია აივნის მოაჯირების მასალა და ნახატი. კედლებში დამატებით მოწყობილია ხვრელები აირგამწოვი მილებისთვის.

შენობაში გაზრდილია ლიფტის შახტის გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების მდებარეობა. დამატებით მოწყობილია რიგელები. სართულებზე შეცვლილია სადარბაზოს გაბარიტები. -3,20 ნიშნულზე, კოლონების ნაწილი მოწყობილია გარე კედლის შიდა პირზე. „5-5“ ღერძთან შემცირებულია კოლონების გაბარიტი. დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები და კოლონები. შემცირებულია გარე კედლის სისქე. გაზრდილია საავტომობილო პანდუსის სიგანე და დახრის კუთხე, რომელიც შეადგენს 15%-ს. შემცირებულია +0,00 ნიშნულის ფილის სისქე რის გამოც გაზრდილია -3,20 ნიშნულის სართულის სიმაღლე. +0,00 ნიშნულზე ვიტრაჟების ნაცვლად ნაწილობრივ მოწყობილია კაპიტალური კედლები. „2-3“ მონაკვეთში, ჰოლში კედლების ნაწილს მონაცვლებული აქვს ადგილი. +7,00 ნიშნულზე გაზრდილია რიგელების სიმაღლე. სახურავზე შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების გაბარიტი და რაოდენობა. ასევე შეცვლილია სადარბაზოს გაბარიტები და დამატებით მოწყობილია კოლონები და რიგელები.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე)

გიორგი გეჯაძე